შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელი

2024 წელს განხორციელებული სტრატეგიული გეგმის მონიტორინგის ანგარიში

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის(შემდგომში კოლეჯი), დირექტორის მიერ დამტკიცებული „სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუშავების და მონიტორინგის მეთოდოლოგიის“ თანახმად, კოლეჯში 2 წელიწადში ერთხელ ხორციელდება სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი.

მიმდინარე დოკუმენტში წარმოდგენილია სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული ამოცანების განხორციელების დინამიკა ქ.თბილისსა და ქ.თელავის განყოფილებაში 2023-2024 წლების განმავლობაში .

აღსანიშნავია რომ კოლეჯის სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი განხორციელდა კოლეჯის რეავტორიზაციის პერიოდში. რეავტორიზაციის პროცესისთვის კოლეჯში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომლის მიერ ხორციელდება კოლეჯის სხვადასხვა მარეგულირებელი, თუ საგანმკარგულებლო დოკუმენტების გადახედვადა გაუმჯობესება. რეავტორიზაციის პროცესების ადმინისტრირებისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ 2023 წლის 21 ოქტომბერს გაიმართა სამუშაო შეხვედრა, რომელიც ეხებოდა პერსონალის მართვის პროცესებს და პოლიტიკას, მათ შორის სტრუქტურის ორგანიზებასა და თანამდებობრივ დაქვემდებარებას. სამუშაო ჯგუფმა იმსჯელა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-4 სტანდარტით გაწერილი მოთხოვნების/პროცესების შესაბამისი ადამიანური რესურსით მხარდაჭერის საჭიროებაზე და მიზანშეწონილად მიიჩნია კოლეჯის სტრუქტურის შეცვლა. კოლეჯის სტრუქტურის შეცვლის შემდგომ, საჭირო გახდა კოლეჯის 2018-2025 წლის სტრატეგიულ გეგმის ამოცანებზე „პასუხისმგებელი პირი/სამსახურის“ და „შემსრულებელი პირი/სამსახურის“ ნაწილში ცვლილების შეტანა. 2023 წლის 6 ნოემბერს კოლეჯის დირექტორის N13832 ბრძანების თანახმად 2018-2023 წლის სტრატეგიულ გეგმაში განხორციელდა ცვლილებები.

კოლეჯის 2018-2025 წლის სტრატეგიული გეგმის მიზნებია:

I. შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ხარისხსხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების საქმიანობის განვითარება;
II. პერსონალის განვითარება;
III. ინსტიტუციური განვითარება;
IV. პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერ ის სერვისების განვითარება.

სტრატეგიული მიზანი I-შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ხარისხსხზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამების საქმიანობის განვითარება;

ამოცანა - **მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების კოოპერაციული მიდგომით განხორციელება.** 2023-2024 წლისათვის კოლეჯს ამ მიმართულებით დაგეგმილი ჰქონდა პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამა აღმზრდელზე კვოტის გაზრდა ქ. თბილისსა და ქ. თელავის განყოფილებაში. აღნიშნული ამოცანა არ განხორციელებულა. რადგან კოლეჯის ავტორიზაციის ბოლო ვადაა 2025 წლის 20 ივნისი, კოლეჯმა მიიღო გადაწყვეტილება, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა აღმზრდელზე კვოტის გაზრდა განახორციელოს რეავტორიზაციის პროცესში.
ამავე სტრატეგიული მიზნის ამოცანაში - **სასწავლო პროცესის განვითარება, მეთოდების დახვეწა და ინოვაციური მეთოდების დანერგვა.** 2023-2024 წლისათვის კოლეჯში სასწავლო პროცესის განვითარების მიმართულებით გადაიხედა ყველა პროფესიული საგანმნათლებნლო პროგრამა, რომელშიც განახლდა სასწავლო რესურსები. პროფესიული საგანმნათლებლო პროგრამა საექთნო განათლების რამდენიმე მოდულში ცვლილება შევიდა თემატიკასა და საათების განაწილების სქემაში.
ქ. თბილისში და ქ. თელავის განყოფილებაში ყველა ავტორიზებული პროგრამის ფარგლებში, წარმატებით განხორციელდა შუალედური შეფასებები და საკვალიფიკაციო გამოცდები, რომელზეც დამკვირვებლებად მოწვეული იყვნენ დარგის სპეციალისტები. პროგრამების შეფასების მიზნით ხარისხის მართვის სამსახურის

მიერ მომზადდა შესაბამისი ანგარიშები, რომლებშიც წარმოდგენილი იყო მოწვეული დარგის სპეციალისტების მიერ გაცემული რეკომენდაციები.
2024 წლიდან სასწავლო პროცესში ინოვაციების დანერგვის მიზნით, კოლეჯმა უზრუნველყო ელექტრონული საგამოცდო სივრცის შექმნა. ელექტრონული საგამოცდო სივრცის გამოყენებით პროფესიული სტუდენტები ელექტრონულად ადასტურებენ იმ სწავლის შედეგებს, რომელთა შეფასების მიმართულება არ მოიცავს პრაქტიკულ დავალებას.
ამავე სტრატეგიის ამოცანაა **პროფესიული მომზადება / პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატება და განვითარება.** საანგარიშო პერიოდში კოლეჯი ქ. თბილსში ახორციელებდა 3 მომზადების პროგრამას: გერიატრიული ასისტენტი, სალაროს ოპერაციების განხორციელება, კომპიუტერის პროგრამული უზრუნველყოფა და 1 გადამზადების პროგრამას-სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა. ქ. თელავის განყოფილებაში ხორციელდებოდა 2 მომზადების პროგრამა-გერიატრიული ასისტენტი, სალაროს ოპერაციების განხორციელება და 1 გადამზადების პროგრამა-სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებთან მუშაობა. ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამას მიმდინარე პერიოდისთვის გასული აქვს უფლების მოპოვების ვადა, შესაბამისად არცერთი მათგანი არ ხორციელდება. კოლეჯს შეუძლია ხელახლა განახორციელოს უფლების მოპოვება აღნიშნულ პროგრამებზე, თუმცა მიმდინარე პერიოდში კოლეჯი იმყოფება რეავტორიზაციის პროცესში და პროფესიული მომზადება/პროფესიული გადამზადების პროგრამების დამატებას განახორციელებს 2025 წლის რეავტორიზაციის შემდგომ.

რაც შეეხება სტრატეგიულ ამოცანას - **დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტიზაცია.** ამ მიმართულებით 2023-2024 წლების საანგარიშო პერიოდში, კოლეჯში განხორციელდა მთელი რიგი მარეგულირებელი დოკუმენტების გადახედვა/გაუმჯობესება და დადგინდა მისი სტანდარტებთან შესაბამისობა. აღნიშნულ პროცესებთან დაკავშირებით მომზადდა შესაბამისი ოქმები და ანგარიშები. კოლეჯის ხარისხის კულტურის ამაღლების მიმართულებით ჩატარდა სხვადასხვა სახის ტრენინგები, როგორც კოლეჯის შიდა რესურსით, ასევე მოწვეული ექსპერტების ჩართულობით.

სტრატეგიული მიზანი II- პერსონალის განვითარება;

კოლეჯის პერსონალის განვითარების წინაპირობაა პერსონალის შეფასება. პერსონალის შეფასება რეგულირდება კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტით-პერსონალის მართვის პოლიტიკა. აღნიშნული მარეგულირებლის მიხედვით კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის სპეციალიტი პერიოდულად ახორციელებს პერსონალის შეფასებას, რომლის მიზანია თანამშრომელთა როგორც, პროფესიული უნარებისა და კომპეტენციების ობიექტური შეფასება, ასევე მათი საჭიროებების, სუსტი მხარეების იდენტიფიცირება და მათი გამოსწორების გზების დასახვა. 2023-2024 წლის პერიოდში ადამინური რესურსების მართვის სპეციალისტის მიერ კოლეჯში 2 ჯერ განხორციელდა პერსონალის შეფასება.

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებული დოკუმენტის, „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მიხედვით, ხარისხის მართვაზე პასუხისმგებელი პირის მიერ წელიწადში ერთხელ ხორცილდება პერსონალის(ადმინისტრაციული და პროგრამის განმახორციელებლების) კმაყოფილების კვლევა. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული კვლევა ხარისხის სამსახურის მიერ ქ. თბილისსა და ქ. თელავის განყოფილებაში განხორციელდა 2-ჯერ.

ადამიანური რესურსების მართვის მართვის სპეციალისტის მიერ ჩატარებული პერსონალის შეფასების შედეგად მიღებული ანალიზის და ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელებული გამოკითხვის ანალიზის შედეგად გამოიკვეთა პერსონალის საჭიროებები. შეიქმნა პერსონალის საჭიროების გეგმა(2023 და 2024 წლის), რომელშიც გაიწერა ყველა ის აქტივობა, რომელიც ხელს შეუწყობდა პერსონალის შეფასების და კვლევის შედეგად გამოვლენილი საჭიროებების აღმოფხვრას. 2023 წლისათვის პერსონალის საჭიროების გეგმაში გაწერილი 9 აქტივობიდან განხორციელდა ყველა მათგანი. 2024 წლის პერსონალის საჭიროების

გეგმის მიხედვით, კი (ნოემბრის თვის ჩათვლი) განხორციელებულია 12 აქტივობა. ტრენინგები განხორციელდა, კოლეჯის მიერ სპეციალურად მოწვეული პროფესიული განათლების ავტორიზაციის ექსპერტის, პროფესიული უნარების სააგენტოს, განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის და სხვადასხვა ორგანიზაციების ჩართულობით. გარდა შეფასებისა და გამოკითხვის ანალიზით მიღებული საჭიროებებისა, კოლეჯში მოქმედებს პერსონალის საჭიროებიდან გამომდინარე ინიცირების მექანიზმები. საანგარიშო პერიოდში კოლეჯის დირექტორის მიერ მხარდაჭერილი იქნა პერსონალის განვითარებაზე ორიენტირებული შემდეგი ინიციატივები:

1. კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტის ინიციატივა ტრენინგის „ადამიანური რესურსების მართვის კურსი“ (მოიპოვა შესაბამისი სერთიფიკატი) გავლის შესახებ.
2. ფინანსური მენეჯერის ინიციატივა 2023 წლის სექტებრის თვეში NexiaTaAcademy-ორგანიზაციის მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშების კონფერენციაში მონაწილეობის შესახებ(მოიპოვა შესაბამისი სერთიფიკატი).
3. კოლეჯის ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტის ინიციატივა კორპორატიული კულტურის, კომუნიკაციისა და გუნდური მუშაობის განვითარებასთან დაკავშირებით(Team Building) და კოლეჯის პერსონალისთვის 3 დღიანი გასვლითი ღონისძიება მოეწყო შიდა ქართლში.
4. დაკმაყოფილდა კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის უფროსის ინიციატივა პერსონალისთვის ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სისტემის გაძლიერებასთან დაკავშირებით და 2024 წლის ნოემბრის თვეში 5 თანამშრომელი გადამზადდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თვითშეფასების დოკუმენტის I სტანდარტთან დაკავშირებით.
5. დაკმაყოფილდა კოლეჯის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ინიციატივა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარებასთან დაკავშირებით და 2024 წლის ნოემბრის თვეში 7 თანამშრომელი გადამზადდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის თვითშეფასების დოკუმენტის II სტანდარტთან დაკავშირებით.

სტრატეგიული მიზანი III- ინსტირუციური განვითარება.

საანგარიშო პერიოდში კოლჯში განხორციელებული იქნა ყველა ის აქტივობა, რომელიც 2023 და 2024 წლის კოლეჯის ერთწლიან სამოქმედო გეგმებში გაიწერა სტრატეგიული მიზნის შესაბამის ამოცანების განსახორციელებლად. კოლჯი აღიჭურვა ახალი ფარმაციის ლაბორატორიით, განახლდა განათება და ელექტროგაყვანილობა, განახლდა კოლეჯის საგანგებო მართვის და საევაკუაციო გეგმა, ინფორმაციის ტექნოლოგიის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ლაბორატორია აღიჭურვა ახალი თანამედროვე მონიტორით. გადაიხედა და ცვლილებები განხორციელდა ყველა პროფესიული საგანამანთლებლო პროგრამის ფარგლებში საჭირო სასწავლო და მატერიალური რესურსებში, გაციფრულდა 70-დე სასწავლო ლიტერატურა. განახლდა და ექსპლუატაციაში ჩაეშვა კოლეჯის ვებ გვერდი.

სტრატეგიული მიზანი IV- პროფესიულ სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა მხარდაჭერის სერვისების განვითარება.

პროფესიული სტუდენტებისთვის კოლეჯში უზრუნველყოფილია სხვადასხვა სახის მხარდამჭერი ღონისძიებები. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მიმართულებით, პროფესიული სტუდენტებისთვის განხორციელდა ტრენინგები ჯანმრთელობის დაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში. 2023-2024 წლის სასწავლო წლის დასაწყისში საინფორმაციო ტიპის შეხვედრები გაიმართა პროფესიულ სტუდენტებთან, კოლეჯში მიმდინარე სასწავლო პროცესის და მათი უფლება-მოვალეობების გაცნობის მიზნით. გაიმართა სხვადასხვა სახის სტუდენტური ღონისძიებები(საახალწლო, შემეცნებითი-მუზეუმებში, ექსკურსიები, კონფერენციები). კარიერული მხარდაჭრის მიზნით, კოლეჯში მოწვეული იქნა დამსაქმებლები(საბანკო, ფარმაციის და ჯანდაცვის სფეროდან), რომლებიც შეხვდნენ პროფესიულ სტუდენტებს. მათ მიერ განხორციელდა ინფორმაციის გაზიარება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან და დასაქმებასთან დაკავშირებით. კოლეჯის პროფესიული სტუდენტები, მიწვეული იყვნენ პარტნიორ ორგანიზაციებში(გეფას სააფთიაქო ქსელი, საქველმოქმედო ფონდი საქართველოს კარიტასი, თელავის რეფერალური საავადმყოფო), მათ ადგილზე მიიღეს ინფორმაცია იმ პრაქტიკული უნარების შესახებ რომელსაც უნდა ფლობდეს დასაქმებული.

პროფესიული სტუდენტებისთვის კოლეჯი აქტიურად უზრუნველყოფს ვაკანსიების გაზიარებას კოლეჯის ფეისბუკგვერდის დახმარებით.
სააანგარიშო პერიოდში (ქ. თბილისსა და ქ. თელავში) კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ განხორციელდა კურსდამთავრებულთა კვლევა კოლეჯში ავტორიზებული ყველა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.
2023 წლის მონაცემებით ქ. თბილისში კოლეჯი დაამთავრა 61-მა კურსდამთავრებულმა, რომელთაგან გამოიკითხა 44. კოლეჯში მიღებული კვალიფიკაციით დასაქმებულია 58%, დანარჩენი 42% დასაქმების მოლოდინშია.
2023 წლისათვის კოლეჯის ქ. თელავის განყოფილება დაამთავრა 53 კურსდამთავრებულმა. გამოიკითხა 34 კურსდამთავრებული. კოლეჯში მიღებული კვალიფიკაციით დასაქმებულია 60%, დანარჩენი 40%, კი დასაქმების მოლოდინშია.
კოლეჯის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელდა პარტნიორი ორგანიზაციების გამოკითხვა(თელავის#7 ბაგა-ბაღი, შპს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისა და ინგოროყვას მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების საუნივერსიტეტო კლინიკა, N 6 ბ/ბაღი, შ.პ.ს. კლინიკა ჰერა - 2011, (ა)იპ ქ. თბილისის N25 საბავშვო ბაგა-ბაღი, შპს ,,ავთანდილ ყამბარაშვილის კლინიკა", შ.პ.ს. თელავის რაიონული საავადმყოფო .). გამოკითხულთა 71,4% აღნიშნავს, რომ ორგანიზაციაში დასაქმებული ჰყავთ შპს საზოგადოებრივი კოლეჯის ფანასკერტელის კურსდამთავრებულები. 28,6% მზაობას გამოთქვამს მომავალში კოლეჯის კურსდამთავრებულების დასაქმებაზე.
ზემოაღნიშნული სტრატეგიული მიზნის ერთ-ერთი ამოცანაა **დაწესებულების ჩართვა საერთაშორისო პროექტებში, პროფესიული სტუდენტების შემდგომი განვითარების მიზნით.** აღნიშნული მიმართულებით გახორციელებული შემდეგ აქტივობები:
2017 წლიდან კოლეჯი პარტნიორობს კომპანიასთან medicjobline, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოში დიპლომირებული ექთნების გერმანიაში დასაქმებას(აღნიშნული კომპანიის მიერ დასაქმებულ იქნა კოლეჯის არაერთიკურსდამთავრებული საექთნო მიმართულებით).
2024 წელს კოლეჯმა თანამშრომლობა წამოიწყო კომპანია Derca-სთან, რომელიც ასევე ახორციელებს დიპლომირებული მედდების გერმანიაში დასაქმებას.
კოლეჯმა მოიძია სწავლების ასოციაცია EVTA-European Vocational Training Association რომელიც წარმოადგენს პროფესიული განათლების პროვაიდერს ევროპის მასშტაბით და მომდევნო 2025 წლისათვის გეგმავს მასთან თანამშრომლობას,.
დასკვნა:
აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში კოლეჯმა სტრატეგიული გეგმით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისი ამოცანების განსახორციელებლად ყველა აქტივობა განახორციელა. თუმცა მნიშვნელოვნად ჩავთვალეთ შემდეგი რეკომენდაციის გაცემა:

- გამომდინარე იქიდან, რომ კოლეჯს 2025 წლისათვის დაგეგმილი აქვს ასოციაცია EVTA-European Vocational Training Association-თან თანამშრომლობა, მნიშვნელოვანია აღნიშნული ფაქტი აქტივობის სახით გაიწეროს 2025 წლის სამოქმედო გეგმაში.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ფანასკერტელის
ხარისხის მართვის სამსახურის უფროსი
/შ. დემურაშვილი/